

დღის წესრიგი

საწყისი შეხვედრა: SELFIE პილოტირება პროფესიული განათლების სფეროში, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ჩათვლით

ონლაინ, ZOOM პლატფორმის გამოყენებით

29 ოქტომბერი, 2020 წელი

შესავალი

ევროპის 2018-2020 წლების ციფრული განათლების სამოქმედო გეგმის მიხედვით 2018 წლის ოქტომბერში¹ ამოქმედა SELFIE (თვითანალიზისა და ეფექტური სწავლის ხელშეწყობა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით), რომლის მიზანია ევროკავშირისა და მისი პარტნიორი ქვეყნების ხელშეწყობა ციფრული უნარებისა და კომპეტენციების სასწავლო პროცესში დასანერგად. SELFIE შემუშავდა ევროკომისიის მიერ, განათლების სამინისტროებთან, სათემო ექსპერტებთან და ევროკავშირის დაწესებულებებთან, მათ შორის, ევროპის ტრენინგების ფონდთან (ETF) თანამშრომლობით.

SELFIE² (თვითანალიზისა და ეფექტური სწავლის ხელშეწყობა ინოვაციური საგანმანათლებლო ტექნოლოგიების გამოყენებით) სხვადასხვა ენებზე მომუშავე საშუალებაა, რომელიც სასწავლებლებს ეხმარება უკეთ გააანალიზონ სასწავლო პროცესში, სწავლებისა და სტუდენტთა შეფასების პროცესში ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის კუთხით

¹ http://europa.eu/rapid/press-release_AGENDA-18-6171_en.htm

² https://ec.europa.eu/education/schools-go-digital/about-selfie_en

მიღწეული პროგრესი. SELFIE ანონიმურად აგროვებს ინფორმაციას სასწავლებლის სტუდენტების, მასწავლებლებისა თუ ადმინისტრაციიდან ამ სასწავლებელში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებაზე, რა მუშაობს კარგად, რისი გამოსწორებაა საჭირო და რა პრიორიტეტები უნდა არსებობდეს.

პარტნიორ ქვეყნებში SELFIE დასაწერად ETF თანამშრომლობს ევროკომისიის გაერთიანებულ კვლევით ცენტრთან (JRC).

2019 წელს DG EMPL³ და JRC⁴ B.4 დანაყოფებმა ჩაატარეს კვლევა, რომლის მიზანიც SELFIE-ს სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში გამოყენების შესაძლებლობის განსაზღვრა იყო. შედეგად, მოხდა SELFIE-ს გავრცობა დამატებითი კითხვებით, რაც პროფესიულ სასწავლებლებსა და სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართულ კომპანიებს ეხმარება გააანალიზონ, როგორ იყენებენ ციფრულ ტექნოლოგიებს სასწავლო პროცესში და როგორ შეიძლება მისი გაუმჯობესება.

SELFIE სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების (SELFIE WBL) მოდული სამ ძირითად მომხმარებელთა ჯგუფთან ერთად (სკოლის ხელმძღვანელობა, მასწავლებლები და მოსწავლეები) მოიცავს კომპანიის ტრენერებს, როგორც მომხმარებელთა კიდევ ერთ ჯგუფს. ეს პროფესიულ სასწავლებლებსა და კომპანიებს საშუალებას მისცემს ერთად გააანალიზონ ციფრული მზაობა. ამ პროცესს კოორდინაციას პროფესიული სასწავლებელი გაუწევს.

ბოლო წლებში საქართველომ არაერთი ინიციატივა განახორციელა ციფრული უნარებისა და პროფესიული განათლების სფეროში ციფრული ტექნოლოგიების დასაწერად. ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი ეფექტური ტექნიკური პროფესიული საგანმანათლებლო სისტემის ჩამოყალიბებაა, მუშახელზე არსებული მოთხოვნის დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. პოლიტიკის მთავარი დოკუმენტი - პროფესიული განათლების 2013-2020 წლის სტრატეგია ხაზს უსმევს ზრდასრულთათვის დისტანციური სწავლების მნიშვნელობას. გარდა ამისა, სტრატეგია ითვალისწინებს ისეთი თანამედროვე სასწავლო და შეფასების მეთოდების შემოღებას, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დამახასიათებელ საინფორმაციო-ტექნოლოგიურ პროგრამებს ეფუძნება.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ინტერესი გამოთქვა SELFIE მიმართ, რაც შესაძლებლობას იძლევა შეაფასოს პროფესიული სასწავლებლების ციფრული მზაობა და გამოავლინოს ქმედებები მის გასაზრდელად. ETF და JRC ერთობლივად უჭერენ მხარს სამინისტროს SELFIE-ს ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სფეროში პილოტირებისთვის.

ამ შეხვედრის მიზანია პროფესიული სასწავლებლების კოორდინატორებსა და საწარმოო ტრენინგის სპეციალისტებს გააცნოს SELFIE და შედეგების ანალიზი და განიხილოს პროფესიულ საგანმანათლებლო სისტემაში მისი დანერგვის შესაძლებლობები.

³ <https://ec.europa.eu/social/home.jsp>

⁴ Joint Research Centre of the European Commission - <https://ec.europa.eu/jrc/en>

29 ოქტომბერი 2020, 10:00

დრო	სესია	სპიკერები / ფასილიტატორები
10:00-10:20	მისალმება და გახსნა	<p>თამარ ქიტიაშვილი - საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე</p> <p>ნინო ყოჩიშვილი, პროექტის მენეჯერი, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში</p> <p>რალფ ჰიპე, სამეცნიერო ოფიცერი Joint Research Centre ალესანდრო ბროლოპიტო, ციფრული უნარებისა და სწავლების უფროსი ოფიცერი, ETF</p>
10:20-10:35	SELFIE WBL დუალური განათლებისთვის	ალესანდრო ბროლოპიტო, ციფრული უნარებისა და სწავლების უფროსი ოფიცერი, ETF
10:35-11:00	წარდგენა	<p>პილოტურ პროექტში მონაწილე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები და კომპანიები</p>
11:00- 11:30	SELFIE WBL ტრენინგი	მერაბ ლაბაძე, ეროვნული ექსპერტი
11:30-11:45	შესვენება	
11:45-12:30	პრაქტიკული ტრენინგი	ფასილიტატორი: მერაბ ლაბაძე, ეროვნული ექსპერტი
12:30-12:45	კითხვა-პასუხი	ფასილიტატორი: გვანცა ტორშელიძე, SELFIE კოორდინატორი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
12:45 –13:00	დასკვნა და სამომავლო გეგმები	გვანცა ტორშელიძე, SELFIE კოორდინატორი, საქართველოს განათლების, მეცნიერების,

კულტურისა და სპორტის
სამინისტრო
მერაბ ლაბაძე, ეროვნული
ექსპერტი